

რედაქცია

გოლოვინის პრინციპული თეზ. ავ. მუსხინის ხს. ლეონი კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

ბილგა ტულისში „დროებას“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა მისამართი: В Тифлисе, въ редакцію „Д р о е б а“

„დროების“ ფასი:

თველ... 9 მან. } ხაზის თვისა... 3 მან.
წესწარმოების... 5 მან. } ერთი თვისა... 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსაზღვრის

დიდის სიძველით, მხოლოდ ერთი...
ლით ახლად სხვაგვარი კამეოა, ხელნაწილის...
სტრუქტურაზე და კამეოა.
თუ სხვაგვარად მოითხოვს, რედაქცია გასწავლის...
და შემოკლებს დასაბუთებლად გამოგზავნილ წერილებს,
დაუბუკლებლ წერილს რედაქცია ფონტით ვერ დაუბუკებს...
განცხადება მიაღება ქართულს, რუსულს და სხვა...
ქუთაისში განცხადება მიაღება ჭილაძის წიგნის მა...
ღაზიაში.
ცალკე გამოდრე „დროებას“ დასცვათ- მაგრა

ზირველის მარტიდან ამ 1883 წლის დამლევადინ

„დროება“

დირს გაგზავნით 7 (შვიდი) მანეთი

ხელის-მოწერა მიაღება: ტფილისში — გალაგინის პრინციპული თეზ. ავ. მ. მუსხინის ხს. ლეონი კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში — ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში — ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სსსში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გასკეთი: В Тифлисе В редакцію „Д р о е б а“.

ტელეგრაფი

(„საზღვარეულო ტელეგრაფის სააგენტოსა“)

რუსეთიდან

მოსკოვი. უმაღლესი ნება რთვა გამოვიდა გვირგვინის კურთხევის დროს სამხედრო-დღესასწაულების განმართვაზედ სკვალისკაში.

საზატიო მოქალაქე დარგიდტი, რომლის სადგომშიაც იბოგეს მედნიტის ფულები, განათავისუფლეს; დაჭერილი არიან მხოლოდ მამა და შვილი მედნიტისა.

სამხედრო-გარეთის უსპორტების განსახადის მომსახურებზედ, აწერებინა გასკეთება, რომ კერძო ზირნი რამდენიც საჭიროდ ეგზავრებინა უცხო-ქვეყნებში განათავისუფლებული იქმნებინა ამ გადასახადისაგან, მხოლოდ თუ წარმომადგენელ მოწმობას მძიმე ავად-მყოფობისას საკუბერნია მართლმობათ განყოფილებისაგან.

სამხედრო გარეთიდან

ბერლინი. გვირგვინის კურთხევაზედ მიემგზავრება მოსკოვში ზირნიც აღბრუნები.

ნაციონალური თეატრი დაიწვა ერთიანად, ადამიანთ არა უბედურება შემთხვევით-რას.

ლონდონი. აქ დაატყვევეს სამი შუქმუღი, რომელთა აღმოჩენდათ მრავალი დამსადილი დინამიტა, ბერმინგამშიაც ნახეს აუარებელი ნიტრო-გლიცერინი. ერთ დატყვევებულს უნახეს დიდ-ძალი ამერაის ბანკის ბილეთები. საზოგადო პალატაში გარკვეულმა განაცხადა, რომ ასაფეთქებელ მასალაში მრავალ ბეგრე მსადდება ამ უმადო და საჭირთა შეიგვარდეს მათ საწინააღმდეგოდ შემდებულად წესად.

გვირგვინის კურთხევაზედ ინგლისის ჯარისა და ჭლაცის წარმომადგენელად იქმნებინა ლენ. უელსლი და დარდ კლან-ვილიამი.

დონდონის პალატას აცნობეს რომ ლიგერბულიდამ კიდევ გამოგზავრეს დონდონში მრავალი დინამიტა. აქ აღმოჩინეს ჯაჯახეთის მასინა.

მანჩესტერში შუქმუღნი იმუქრებინა რატუსის ავადუთქით.

მადრიდი. ანკასში დაატყვევეს ერთი მეტაურთაგანი „შაფის ხელისა“.

დღიური

შეგვადეთ დღეს კიდევ რამდენიმეს იმ სამწუხარო ტელეგრაფებთან, რომელნიც შეუწყვეტილ მოდის ტფილისში გარდაცვალებულის თ. ბრიგოლ ორბელიანის მემკვიდრეთა, რედაქციისა და კერძო პირთა სახელობაზედ:

თავ. ვარლამ ქრისტეისაგან — თ. ბრიგოლ ორბელიანს, ქუთაისით, 26 მარტს, შაბათს.

„თავად-აზნაურთ ქუთაისის გუბერნიისა, ყველა უწყებათა მოწვეულის მოხელეობით უღრმესის მწუხარებით მოისმინეს დღეს ალექსანდრეს სობოროში პანაშვილი დაუფიქრის თ. ბრიგოლ ორბელიანისა; თავად-აზნაურთა და ყველა დ. მწერეთა სახელობით გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულითადი მონაწილეობა თქვენს მწუხარებაში.“

ტელეგრაფი თ. ბრიგოლ ორბელიანს, 26 მარტს, შაბათს:

„დღეს, როდესაც ცივი საფლავი საუკუნოდ მიიღებს გვამს ქავკასიის ერთის საუკეთესო წარმომადგენლისა, ქართულ მწერლობის მანათობლისა, იმ ადამიანის გვამს, რომელიც სიცოცხლეში ყოველს კეთილს ხმას აძლევდა, გვამს თქვენს ბიძის, თავადის ბრიგოლ ორბელიანისა, ჩვენ განგებით გადმოხვეწილნი ღალისტანში, თანამემამულენი და პატივის-მცემენი განსვენებულისა, როგორც საზოგადო მომქმედის, პოეტის და კაცისა, გულითად ვწუხვართ, რომ პირის-პირ დასწრებით სამწუხარო გასვენებაზედ არ შეგვიძლიან დასწრება, არ შეგვიძლიან უკანასკნელი ვალი გაღუბნად ღირსეულ ადამიანს და შორით უერთდებით საერთო თქვენს მწუხარებას.— თ. მ. ნაკაშიძე, თ. პ. მელიქოვი, თ. ა. შავჭავაძე, თ. ა. ბებუთოვი, პ. აბაშიძე, მ. მაკაგარიანი“

ი, თ. ა. შავჭავაძე, თ. ნ. ანდრონიკოვი, მ. მლიოსიძე, თ. მ. მაყაშვილი, ნ. ჯაბადარი.

„დროების“ რედაქციას—ხალციხით, 26 მარტს—ნ. ა.—მესხივეისაგან. — „ბჭაურ ქართველების თხოვნით ბლაღოჩინმა დავიდოვმა გადინადა პანაშვილი დიდებულის პოეტის განსვენებულის ბრიგოლ ორბელიანის-ძის ორბელიანის.“

ოზურგეთით—თ. ბიორგი ორბელიანს—16 მარტს.

„უღრმესის მწუხარებით აღვივინით, რა გავიგეთ გადაცვალება ჩვენის უსაყვარელის პოეტის თ. ბრიგოლ ორბელიანისა. მთხოვთ გვიცნოთ მონაწილე თქვენს მწუხარებაში. ბრიგოლ ქიქოძე, ივ. ჯაყელი, იოსებ, ძაწია და ივანე თაყაიშვილი, ნ. შარვაშიძისა, ნინო ქიქოძისა, ბრ. შარვაშიძე, ბ. ხუტულაიშვილი, ნ. ასათიანი, სპ. იოფურიანი.“

ღებემა გამოგზავნილი ზომიდამ და ხელ-მოწერილი ზედგანოვებისა, თუხარელოვებისა, ქვლიეფთა, ბოკერიებთა და შალაენდოვებთაგან.

„ძნელი ასაწერია ის მწუხარება, რომელშიაც ჩაგვადო ზემო-მართლის თავად-აზნაურობა დღეს მოტანილმა ამბავმა ჩვენი საყვარელი პოეტის გარდაცვალებაზედ. თ. ბრიგოლ ორბელიანის-ძის დაკარგვა მეტად მძიმეა როგორც მის მახლობელთათვის, ისე თვითეთლის ჩვენ განისთვის. საუკუნო სასუფეველი დაუფიქრე მოხუცს!“

ღებემა გამოგზავნილი სხინვალიდამ:

„საერთო მგლოვიარებას და გოდებას უერთდებით ჩვენც და განვაცხადებთ; განუზომელად ვმწუხარებთ საუკეთესო ქართველის და დიდებულის პოეტის დაკარგვით.“

ღებემა, გამოგზავნილი გენერალ-ინჟინტერიის ბ. რ. ქრისტეისაგან:

„მხოლოდ ეხლა შეეიტყვე სამწუხარო ამბავი თ. ბრიგოლის გარდაცვალებისა ვუერთდები სახლობითურთ თქვენს მწუხარებას. იმის დაკლება შეუესებელია ჩვენთვის. საუკუნო სასუფეველი მას!“

ღებემა დ. ი. შიფიანისა:

„თფილისი. ი. მეუნარგისა. თ. ბრიგოლ ორბელიანის-ძის ორბელიანის გარდაცვალებით მწუხარეთა წინაშე, გამიწიეთ მე, ავად-მყოფს, მაგიერობა და შეტყობინეთ ჩემი უგულის-დესი მწუხარება, ყოველთათვის მისი გარდაცვალება საგრძნობელი არის.“

ღებემა მოსკოვის ქართველ სტუდენტობისა.

„ღებემა დღემა ტელეგრაფმა მოგვიტანა ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი: მ. ნ. შეგვატყობინა ჩვენის დაუფიქრარი პოეტის ბრიგოლ ორბელიანის-ძის თავადი ორბელიანის გარდაცვალება. დადეთ ჩვენ მაგიერ გვირგვინი ქართული წარწერით: პოეტს — პატრიოტს.“

ღებემა ბორის მასწავლებელთა:

„ზარდაცემულნი სამწუხარო ცნობით ჩვენის ძვირფასის, საყვარლის ქართველის და პოეტის ბრიგოლ ორბელიანის-ძის ორბელიანის სიკვდილით, ვისწრაფით გამოვაცხადოთ გულითადი ჩვენი მწუხარება.“

ღებემა ქუთაისის ქალაქის სასწავლებლისა

„თ. ბრიგოლ ორბელიანის-ძის ორბელიანის გარდაცვალებამ შეგვაძრწუნა ყველანი, აღარა გვყავს უძვირფასესი კაცო საქართველოსა, განჰქრადიდებული პოეტი, მიწყდა სიმთა ჟღერა პარნასისა! ღიღია ქმუნვა და ჩვენც მრავალთა სხვათთან ერთად ვმწუხარებთ.“

ღებემა ქუთაისის საქალბო გიმნაზიისა:

„მოსწავლენი ქუთაისის საქალბო გიმნაზიისა ცრემლთა ფრქვევით მოიგონებენ დაუფიქრარს ქართველის პოეტის და დაუღალავის კეთილ-მომქმედის თ. ბრიგოლ ორბელიანის-ძის გარდაცვალებას.“

როგორც კვირის „დროებაში“ მოვიხსენეთ, ბევრი გვირგვინის წარწერები ვერ გავაცანით მკითხველებს. სხვათა შორის, დაგვავიწყდა მოგვეხსენებინა წარწერა ტფ. 2-რე კლასიკურ გიმნაზიელების გვირგვინისა; აი, ეს წარწერა:

„მიეცით ნიჭსა გვა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას: ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარისუფლებას!“

დღეს, ქვემოდ ვებქდავთ ნიკოლოზ შიფიანის და პაკის სიტყვით. შემდეგ მს-ში დაებქდავთ სხვა სიტყვებს— სიტყვას საქართველოს ეგზარხოსისა, ბრიგოლ არხიმანდრიტისა და მღვ. ჯანაშვილისა.

ნ. დ. ვიფიანის სიტყვა.

ნება მიბოძეთ მეც, ერთს მცირედს ქართველთაგანს, ორიოდ ქართველი სიტყვა წარმოგსთქვა ამ ნამდვილი ქართველის საფლავზედ.

დღეს სამუდამოდ განშორდი ამ სოფელს, თავად ბრიგოლ ორბელიანის-ძე ორბელიანი, მაგრამ სახელი შენი არ მოკვდება სანამ ქართველთა ერის ხსენება იქნება დღე-მიწაზედ.

დღეს გიმზერო განსვენებულს და გვაგონდება მშენიერი, გრძობით აღსავსე სიტყვა, გამოთქმული შენგან, ზეგარდმო ნიჭით ცხებულა პოეტო, უწინდელ ქართველთა გმირებზედ:

„ვინ გვიბნას, ვინა გვიჩვენოს, სადა ცხოვრებდენ ძველ-გმირნი? დრომან შექმნას, აჭგავ მიწით მათი ცა საფლავნი...“

მაგრამ ცოცხალან ჰერკოტაც დიდების მათი მკედანი, მათი სასული, მათ ხმალი, საქმენი სასულიაჲნი“!

ქართველურმა გულმა გამოგათქმენინა ეს გამაზნევებელი სიტყვა საქართველოზედ:

„ქე მამულა სასურველა, ვინ გასსენოს რამ მის გული არ ათრთაღდეს სისარულის აღტაცებითა აღსილი, ვინ გინილას დროსა საშის, არ დასთხიას თვისი სისხლი, არა დაკლას თავი თვისი შენ დიდებად ვითა მსხვერპლი“.

დღეს განსვენებულმა საქართველოს შეიღობა ერთხელ ამ ნაირად დალოცე შენი მშობელი ქვეყანა:

„მამულისათვის ფიალს სასუე ვსვათ სიამაგნებით, და იქნეს აღუკავებელი კეთილ დღეობით, დიდებით, იქნეს მის ქედი აღუკანად ცხამდის მეთა მსხვერპლით და სიყვარულით მისდამი ვსარბუდეთ გულსა აღტაცებით.“

ამ გვარი გრძობითა და ძალით აღსავსე შენი გამოჩნატქვამი—შენისავე სიტყვით—„სსვიკს მოკვდენს გასამსხვერპლად“.

შენ გიძგერდა ქართველური გული და დღეს რომ ეტირით შენს საფლავზედ, დღესვე—გგრძობთ ყველა ქართველნი, რომ შენი სახელი და შენი სიტყვანი ყოველთვის გინმაცოცხლებელი, განმალვიძებელი იქნება ჩვენი და ჩვენი შეიღების, შეიღის—შეიღების და შთამომავლობისა...

ზიყვარდა გულით საქართველო, გიძგერდა გული მამულირათვის და ამ სიყვარულს შენი გამოჩნატქვამი ჩაუნერგავს და განუძლიერებს ყოველს ქართველს, ვისაც სმენამდის კი მიაწევს შენი სიტყვანი.

ყოველს საქართველოს შეიღის ათრთოლებს შენი ლომ-გმირული პატრიოტული სიტყვა:

„მამულისათვის ჩვენც შევსვდეთ უშიშრად ათასს მსხვილსა და მოკვდეთ, თუ ვი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სასულსა“!

უწინდელი დიდებული დრო, დრო ჩვენთა დიდებულთ წინაართთა, გამოგვიხატე შენის ძლიერ-მოსილის კალმით; დაპატრიდი მათ,

„ვინც სიტყვასე თვისსა მამულსა შესწირს მსხვერპლად“.

დანატრიდი „დროთა, რისს აქნდათ ტრფობას მამულისადმი გულს აღტაცდით“.

როცა მსხეობა, მძობა, ერთობა ქართველთ თვისებას შეადგინებდენ, როდესაც ბრძოლა და მამაცობა, მისსა სასულსა განსაღიღებდენ.

თავიანს ესცემთ ჩვენ შენს საფლავს წინაშე მდგომარე ქართველნი, შენს სახელს, ზეგარდმო ნიჭით ცხებულა პოეტო, ქართველო-პატრიოტო!

თავადი ბრიგოლ მრბელიანი გამოეთხოვა ამ წუთის სოფელს და იქნება დასტოვა დიდი ქონება, დიდი სიმდიდრე. მაგრამ—უფრო ძვირფასი განძი, უფრო მდიდრული საუნჯე დაუტოვა საქართველოს,—მისი თხზულებანი: პოემა „სადღეგრძელა“, „წერილი არაღისადმი“, „სიტყვა თამარ მეფისადმი“ და სხვანი. ამ თხზულებათა თითო სტრიქონი ბევრად მეტად ღირს ქართველთათვის მრთელს იმ ნიეთიერ ქონებაზედ...

აჭგავის სიტყვა

იმერეთის მხარეს, შავის-ზღვის პირად, ზოგან დღესაც ჩვეულებაა აქვსთ მოთქმით ტირილი. და ძველად კი მთელ საქართველოში საზოგადოდ ყველა მიღებული. დღევანდელის შეხედულებით ეს ჩვეულება ახირებულებად ჩეთვლება ჩვენ ძველებს, მაგრამ მაშინ კი დროთა ვითარება მოითხოვდა: ყოველიმომტირალი წარსდგებოდა მიცვლებულის წინ და მოთქმით შესხმას ეტყოდა, რაც იცოდა ან ნახეთ, ან გაგონებთ იმ განსვენებულის შესახებ თაე-გადასავალი. მრთის სიტყვით, უმოწმებდა საგმიროდა საქველ-მოქმედო საქმეებს. ამით უკანისკნელ პატივს აძლევდა მიცვლებულს, ანუგეშებდა ქირის-უფლებს და მაგალითს აძლევდა მსმენელებს. დღეს, როდესაც ბეჭდვის წყალობით, ე. ი. ჟურნალ-გაზეთების საშუალობით, აღარა რჩება რა შეუტყობელი, იმ ჩვეულებას ადგილი აღარა აქვს. თით განსვენებულს მრ. მრბელიანზედაც ბევრი ითქვა სიცოცხლეშივე, უფრო მეტი ითქმის სიკვდილის შემდეგ; დღესაც ბევრი სიტყვა წარმოითქვა და ამისათვის საჭიროდ აღარ ვხედავდი, რომ მეც რამე მეთქვა, მაგრამ ვასრულებ ბევრის სურვილს და ჩემდა თავადაც, ვერ დაეფარა, რომ მწუხარებით დამძიმებული გული თხოულობს შემსუბუქებას.

ძაცის ნამსახურის დავიწყება და დაუფასებლობა უმადურობაა ჩვენის მხრით. ბაზვიადება და ნამეტნობა კი შეცდომა, რადგანაც ამით ნამდვილი ღირსებაც იჩრდილება. ეს კარგად მესმის და ამისათვის, რაც უნდა ვსთქვა დღეს აქ შესახებ განსვენებულის მრბელიანისა ნამეტანი არ იქნება, მით უფრო, რომ უამისოდაც იძულებული ვართ ბევრი რამ ჩეთქვათ. მე არ მახსოვს, და ვგონებ არც თქვენგანი ვინმე უნდა იყოს მომსწრე, რომ ვისმეს ამ გვარი დიდებული განსვენება ჰღირსებოდეს საქართველოში. მით უბრალო შემთხვევას, ყოველ

დღიურ მოვლინებას, ჩვეულებრივ სიკვდილს შეუყრია ერთად ამდენი აუარებელი ხალხი; მაგრამ რას ვამბობ? მრ. მრბელიანის ბრწყინვალე სახელს თვით სიკვდილიც გაუდიდება, გაუმრავალკეცვბია და გადაუტყვევია რაღაც უჩვეულო მოვლინებად. ჩვენ ვხედავთ აქ სხვა და სხვა რჯულის, წირის, წოდების, სქესის და მიმართულების ხალხს. ამ შემთხვევას ისინი შეუკავშირებია ერთ გრძობად და დაუყენებია ერთ გულის-თქმასზედ. რა არის ამის მიზეზი? ია, რომ თ. მრ. მრბელიანი ბედისაგან მრავალ გვარად იყო დაჯილდოებული: სიმდიდრე ნებას, აძლევდა, რომ საიღუმლო ქველმოქმედებით ღირსების, ქვრივ-ობლების და საწყლების გული მოეგო, ხარისხი ხელს უმართავდა, რომ პირადობის მედიებლებისათვის შემწეობა მიეცა და წინ ბიჯი წადგამე ნებინა. ღირსეულად დამსახურებული ხარისხები ფასს უმატებდენ უმადლეობის თვალში და შთამომავლობითი დიდებულობა, ე. ი. მის წინაართ ისტორიული ღვაწლი ამ დროს შესაფერად ღირსეულად ებყრო ხელში შეუბღალავად და ამით მადლად სჩანდა. ეს უთუოდ ასრე უნდა ყოფილიყო, აქ საკვირველი არა არის-რა; მაგრამ ჩვენ ვხედავთ აქ იმისთანა ხალხსაც, რომელიც ამ ზემო მოყვანილ ღირსებათ იმდენად არ აფასებს, როგორც შინაგანს ღირსებათა. იმ ნიჭს, რომელსაც ღმერთი—ბუნება აძლევს მხოლოდ მისგან რჩეულებს და თუ ის რჩეულებიც ღირსეულად ასარგებლებენ იმ ზეციურს ჯილდოს და არ მარხვენ ისე, როგორც ზარმაცმა და ორგულმა მონამ დამარხა უნაყოფოდ მისდამი მინიჭებული ქანქარი, ანუ ტალანტი.

მათა რიცხვი დღეს აქ ბევრია. მაგრამ მრავალ-ათასად უმეტესი იქნებოდა, თუ გარემოებას მათთვის ხელი არ შეეშალა. ისინი შორს არიან, სხვა-და-სხვა საქართველოს კუნჭულში, მაგრამ სულითა და გულით-კი ამ ქვამად აქ არიან და ნიშნად თანთან თანაგრძობისა კიდევ გამოუგზავნიათ გამოსათხოვარი გვარგინები, როგორც მამათ, ისე დედათ სქესს. შემეტეს მათგანს არც კი უნახავს ჩვენი გამოჩენილი მამულის-შვილის დიდებული სახე, არ გაუგონია მისი ტკბილი სიტყვა, მაგრამ მაგის იდეალი კი ცხადად გამოჰხატვია თვალწინ და ჰმენია მაგისი ხმა. და მით უფრო გულწრფელობითა მათი გრძობა, რომ კერძოდ, საპირადო მისამაღლებელი არა ჰქონიათ-რა, ვგებო, ი. დღემე ერთმანეთში საყვედურიც ჰქონოდესთ და ეს უგუნურებას გაეზვიადებოდა, მაგრამ ნუ დაევიწყებთ მწერალთ თავადის რუსთველის სიტყვებს: „მტრე რამე სამღუწავი მოყვარეთა წესია“—ე. მტრისგან მოქმეული ხელი ისე არ ვეატყენს გულს, როგორც ჩვენი მოყვრის და მეგობრის ერთი წარბის შექმუხენა. როცა საყვარლისა და მეგობრისაგან მცირე რამ ქმუნვა შეგედის გულში, ჩვენ

არ გვინდა, რომ ის ბუნდად ჩავიხვიოთ გულში და შეჩქარებულად ისე გავიწმინდეთ! — გულში ქული, სადაც ჩვენს საყვარელსა აქვს ბინა სიტყვის საშუალობით და ეს სიტყვა არის—საყვედური; მაგრამ ვინ იტყვის, რომ ამ საყვედურში უფრო მეტი სიყვარული არ იყოს, ვიდრე მოპირადე ფარისევლების მლიქვნელობა-ქალაჩუნობაში. ამას მიტომ ვამბობ, რომ არავინ იფიქროს, ვითომც ეს გრძობა გამოწვეული ყოფილიყოს განსვენებულის სიკვდილით. ეს გრძობა მაგის სიცოცხლეშივე ყოველთვის შეურყევლად ყოფილა.

რითი დამსახურა ესრეთი სიყვარული იმ მოწალმართე ჩვენი ქვეყნის შეიღებისა, რომელთაც დღეს ახალთაობად უწოდებენ? მითი, რომ განსვენებული თ. მრ. მრბელიანი იყო კავშირი ძველისა და ახლის თაობის შორის, სხვა-და-სხვა დგმის შემაერთებელი ხიდი. როგორც ყოველივე შემაერთებელ რამეს, მაგას ერთი თავი რომ ერთი მხრისკენ ჰქონდა, მეორე—მეორისაკენ, მაგრამ მაგის გულზედ არ გადმოსულა და არ გადასულა მცირე რამეც, ან ერთი მხრის შემაწუხებელი საენელები და სასაყვედურო და ან მეორის.—მე მოყვარული იყო და თანამგრძობი იმისთანა კაცების, რომელთაც დღეს ახალთაობის კაცებად ვუწოდებთ და ამ გვარ მოწალმართე პირებს ეძებდა, როგორც ახლებში, ის ძველშიაც. ხოვანებით არ საზღვრავდა: ბევრს მოხუცებულებში ჰხედავდა მოწალმართე ახალთაობის კაცს და აფასებდა. ზოგჯერ ახალ-გაზღვშიაც პოულობდა მოუკულმართე ძველ-თაობის კაცს და ეზიზღებოდა. ამას ყოველთვის გვიმტკიცებდა სიტყვითი-გრძობითა და სურვილით. რადგანაც ყოველივე დრო და ადგილის ვითარება ჰფასებდა, ჩვენც არ შეგვიძლიან არ დაუფასოთ და არ მოვიხსენოთ კეთილად ეს გრძობები. ამისთანა კაცს დღეს ჩვენ ვებარებთ ციე-მიწას, ვანდობთ ბნელ-სამარეს. მაგრამ მაგისი ნამდვილი სამარე კი მართო ვე არ არის. სადაც კი ქართველი კაცის ნათელი და მხურვალე გულია—ყველა მაგის სამარეა. და მომავალშიც იმატებენ. იმ ანდაზებს: „როგორც თვალი შორს ისე გულიცა“ და „ცოვი მიწა ყველას აგრილებსო“ აქ ადგილი არა აქვსთ! ეს იმ პირადობის მამიებელ კაცუნებს შეეხებათ, რომელნიც მანამდი იგონებენ კაცს, სანამ გამოჩენიან ელიან და არა იმ პირებს, რომელზედ მე მოგახსენებთ ე. ი. ახალ-თაობაზედ. მაივლის დრო, საუკუნოები საუკუნოებს გამოსცვლიან ერთი დგმა მეორეს, მაგრამ მაშინაც შეხედვენ ამ საუკუნეს გონების თვლით და როდესაც მოწინავე რაზმში დაინახვენ დღევანდელ მამულის-შვილს მათი გული იმ გვარისავე გრძობითა და მადლობით აღივსება, როგორითაც დღეს ჩვენი გულია სავსე. როგორც სიცოცხლე ისე სიკვდილი თ. მრ. მრბელიანისა იყო დიდებული და სანატრილი. ნეტავი იმას,

ინც მაგისტრანა სიკვიდოს ელირსება: დღენი ცხოვრებისა მისისანი სამოც-ლათი წელ და უკეთუ ძლიერებასა შინა ოთხმოც წელთა, ამბობს წინას-წარმეტყველი და ჩვენმა მამულის-შვილმა კიდევ გადააცილა ამ დანიშ-ნულ დროს და მასადაღმე უდროვო და უკანონო არ ყოფილა მაგისი მიც-ვალება, მაგრამ რა ვქნათ, რომ გუ-ლი ხარბია და გაუმაძღარე, ვინც გვიყვარს, არ გვემეტება და საუკუ-ნოებიც რომ იცოცხლოს მაინც გვე-ადრეება მისი დაკარგვა. ღიად დიდ-ხანს იცოცხლა განსვენებულმა მამუ-ლის-შვილმა მამაცად განვლო ეს ბო-როტების საფრხით საგვსე ქვეყანა, არც ერთხელ ფეხი არ წამოუყარეს და თუ წამოუყარეს, ისე როგორც მამულის-შვილს. ჩარქის მომდებმა სოფელმა ვერ შებღალა და, აჰა, დღეს ეს ეთხოვება სააკაოს გულ-წმიდად, რომ პირნათლად წარსდგეს იქ ჩვენ წინაპრებთან. მჰ, რაღა დაგვჩინია მეტი, ვისურვოთ, რომ შემდეგმა სა-უკუნოებმა გამოგვიზარდონ ნამდვი-ლი მამულის-შვილები, რომ ერთად მათთან დღეს განსვენებულის თ. ზრ. მრბელიანის ხსენებაც საუკუნო იყოს.

 ბათუმის სკოლის მასწავლებლის ბ. მ. ნათაძისაგან მივიღეთ შემდეგი შე-ნიშვნა დასაბუქლად:

„ითქმის ყველამ იცის ჩვენში, რომ აგერ რამდენი ხანია, რაც ტფილისში დაარსდა „მართველთა შორის წერა-ბითხვის შამაგრცელებელი საზოგა-დოება“, მაგრამ, ჩვენსა საფალალოდ, ყველა ჩვენგანი არ იღებს ამ საქმეში მონაწილეობას, თითქო არ იცოდნენ, თუ რა დიდი მიზნები აქვს ამ საზო-გადოებას, თითქო არ იყვენ მიხვედ-რილნი, რომ არამც თუ მარტო ეს საზოგადოება—სამი და ოთხი ამისთანა ძიხვებზე დაარსებული საზოგადოებაც კი მეტი არ იქნება ჩვენი ხალხის წინგობითად და გონებითად ფეხზე წა-მოსაყენებლად. შევლას რომ თავი დაეანებოთ, ის მაინც ვიქონიოთ სა-ხეში, რომ დიდი სირცხვილი იქნება ქართველებისთვის, რომ ეს ერთად ერთი დაწყობილი საქმე ბოლომდის ვერ გაგრძნოთ, ვერ მივალწვივროთ მის დანიშნულებადის. ნეტა ძვირად მაინც ღირდეს ამ „საზოგადოების წევ-რობა! წელიწადში ექვსი მანეთის რა-იმე უბრალო სიამოვნების მოკლება ჩვენში კაცსაც შეუძლიან და ქალსა-ცა. ექვსი მანეთის სიამოვნებით ჩვენ ზევას ვერ აფერინდებით, მაგრამ ყველა ჩვენგანმა რომ ექვსი მანეთი შესწი-როს ყოველ წელს ამ საქმეს, მაშინ ეს „საზოგადოება“ უფრო ფართო მი-ზნებს მოჰკიდებს ხელსა. აგერ გუ-შინდელმა შემოერთებულმა ჩვენმა ბათუმის მაჰმადიანებმაც კი თანა-გრძობმა გამოუცხადეს ამ საქმეს, ჩაწვირენ წევრებად, და, ჩვენდა უსამოვნოდ, რამდენი ქართველია, რომელიც ამ საქმეს ზურგ შექცეული უყურებს. შევლა ჩვენგანი მოვა-ლეა, შეძლებისა-და-გვარად, შევეწიოთ ამისთანა საქმეებს, რომელსაც მი-

ზნად აქვთ ჩვენი ერის აღზღვენა; მოვალენი ვართ, რომ პირზედ არ დაერჩეთ ჩვენ შთამომავლობასთან, ჩვენს მომავალთან. შევლა ქალაქე-ბილგან რომ ჩვენმა ქალებმა და კა-ცებმა თანაგრძობა გაუწიონ „წერა-ბითხვის საზოგადოებას“, მაშინ ამ უკანასკნელს შეეძლება განხანს სკო-ლები იმ კუთხეებში რომლებიც სრუ-ლებით მოკლებულნი არიან სწავლა განათლებას და მაგ. მსნის და არა-ვის ხეობაში ყველაზე უმეტესად.

„მს ქვემო აღნიშნულნი პირნი არიან ღირსნი დიდის მადლობისა, ინებოს ღმერთმა, რომ ბევრს ხედავს მიეზ-ძოთ იმითთვის:
 „ნასტასია მგელაძისა, პუბი ზრი-გოლიასი, იბრაჰიმ-ბეგ აბაშიძე, ალი-ბეგ მემედ-ბეგ ზადე. მაქირ-ეფენდი შინ-ალა ზადე, ხუსეინ-ეფენდი შარა-ალა ზადე, მაინ-ეფენდი ბოლქვაძე, ხურშუტ-ალა ტორნი-ზადე; მერჯან-ალა მარშანია, მოლლა მელექ-ზადე აბაშიძე, შაქრო დედაკანოზოვი, პა-რუჩიკი ლუმბაძე, ბიორგი ადმასხანის-ძე ხუტულაშვილი.“

 ბევრენ, რომ შორის მაზრის სოფ. ბაგლოთი-შაუში (ბრუთი-საბძლის ახ-ლო) ჩამოვარდნილა საშინელი ზეგვი და ქვეშ ასამდე სული ცხვარი მოჰ-ყოლია; მცხოვრებთათვის-კი არა უზ-ნევია რა.

ორგელიანი გზარი

არბუჯანების გვარი არის უძველესი საქართველოში და საჭიროდ მიგვაჩნია მოკლეთ მოკავანთ მკითხველებს ამ შესანიშნავი გვარის ისტორია. არბუ-ჯანთ გვარის პირველი წინაპარი მოვი-და ჭანეთში (საქართველოში) მეორე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. არბუჯან-ების გვარი, როგორც მოგვითხრობს მათი გვარის ისტორიკოსი ეპისკოპოსი სტეფანოსი, თვითონ არბუჯანის, სწარ-მოებს ჩინეთიდან. მოვიდა ჩინეთის მე-ოთხე კამბაჯური თუ არა ჩინეთში ასტუდა დიდი ამბოხება. როდესაც ერთმა ზატრ-მა გაიმარჯვა, მეორის წინამძღოლი ვაჟ-კაცი ანკანის, ძლიერი და მშვენიერი თავის სხელებით და ერთგული დაშე-რით გაიქცა ჩინეთიდან, გაიარა მრავალი ქვეყნები და დარეღის კართ შევიდა ქართლის ქვეყანაში და მივიდა მცხეთის მამასახლისთან.

მცხეთის მამასახლისს მეტათ იამა ჩინეთის მეუფის შვილის მოსვლას, რად-განაც იმ დროს მეტათ შევიწროებულ მდგომარეობაში იყო სპარსელებისაგან მიიღო დიდი ზატრით და ახუქა ქართ-ლისისგან აშენებული ციხე არბუთი, გარემოცო სოფლებით. ამიტომაც ჯამ-ბაკურისანთ ეწოდათ არბუჯანები.
 ზირველათ ქართლის მეფემ არბუჯან-ების შემწეობით დაამარცხა და განდევ-ნა სპარსელები საქართველოდან. დასწყისი-დგანვე არბუჯანთ ახუქს საქართველოს ბეჭი შესანიშნავი კაცი, გავრამ მათი გვარის სასული გაითქვა ღიპარტ ორ-ბუჯანისადან, შუა საუკუნეებში. ქარ-თლის მეფეებმა არბუჯანებს უბოძეს სპასალარობა, რომელიც მათ გვარში მე-

კვიდრებით გადადიოდა. მათ გვარს ჰქონდა თორმეტი დროშა და თითო დროშის ქვეშ უნდა მდგარიყო ათასი კაცი. არბუჯანებს, როგორც მოგვით-ხრობს მემატიანე ეპუტათ თითქმის ნახე-ანი საქართველოს სამეფო: მანგლისი, სკვირეთი, თრიალეთი და მთელი სამსუ-თი ლაშქარს. მათი საგვარეულოს სა-მარნი იყო ბეთანის მონასტერი. სადამ-დენ იყო ძლიერი არბუჯანის გვარი და-გინანამთ იქიდან, რომ როცა კი არი რამე ამბოხება მოსდებოდა ყოველთვის ის ზატრია გაიმარჯვებდა, რომელსაც ისინი მიემხრობდნენ. შესანიშნავი ღიპარტის ცნობებს გვძლავთ ვერ მოგვუბოთ. იმან მთელი თავისი სინტრუსლე შეფთში და ამბოხებაში გაატარა. ღიპარტის მე-კვიდრე იყო მისი შვილი ავანკ, რომელ-მაც უდალატა მეფე გიორგი მეორეს და მოკვდა სპარსეთში. შვილი მისი ღიპარ-ტი მეორე მეფე დავით აღმაშენებლის დროს დაღატისთვის იყო განდევნილი და მოკვდა სპარსეთში. მალე მოკვდა უშვილოდ რატი და მისი ქონება, რომ-გორც ბეთანისგან, იყო ჩანდრული სასახლისათ.

მართალია არბუჯანთ დიდი ღვაწ-ლი დასდეს საქართველოს, მაგრამ ბე-რნი უჩინობაც გაუწიეს მეფეებს და ამ უჩინობის გულისთვის მეფე გიორგი მემატიანე თითქმის მთლათ ამოწყვეტა მათი გვარეულობა. ღიპარტის ცნობის აღების შემდეგ, სადაც იყო გამაგრებული გან-დევნილი ივანე არბუჯანის თავის გვარე-ულობით. გადაწხა მხლელად ერთი მძა-მისი ღიპარტი ორი შვილით: კლიკუმით და ივანეთი. კლიკუმით ძლიან უყვარდათ სპასალარებს და ახუქს დიდი მამულები ნახეგნის ახლო. იქ შეერთო სამისი ქალი და სამუდამად დასახლდა. ივანე ჯერ დასახლდა განჯაში და თამარის დროს გადმოასახლდა, თან და თან დაუბ-რუნეს ყველა ის მამულები, რომელიც გიორგი მემატიანის დროს ჰქონდათ წართ-მული. არბუჯანმა არა მარტო სამხედ-რო ასპარეზზედ ისახლეს თავი; მათ სალიტერატურო ასპარეზზედაც მოისყე-ჭეს სახელი. საბა სულხან არბუჯანის სასული საუკუნოდ დაწერა საქართვე-ლოს ლიტერატურის ისტორიაში. გარდა-ცვალებულმა გრ. არბუჯანმა შეკერთა ერთად სამხედრო კაცის და დიდიუღი ზოქტის ნიჭი.

ა. ე.

„დროშის“ კორექტორი

სართიჭალა, 17 მარტს. მსურს ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ ამ ჩვე-ნი პრისტივის მოქმედების შესახებ და იმედია არ დაიშურებთ თქვენ გაზეთ-ში მცირე ადგილს ამ წერილის და-საბუქლად.

მთავრობისაგან გამოცემულის ცირ-კულიარის ძალით, როგორც თვით თქვენ მოგხსენებთ მომრიგებელი მოსამართლე „ისპოლიტიკონი ლის-ტრეს“ ათ თუმანზედ ზეგით აღსარუ-ლებლად გარდასცემს სამსაჯულოს პრისტივის, მხოლოდ ათ თუმანზედ ქვეით ადგილობრივ სოფლის მამა-სახლისს, ანუ პოლიციის პრისტივის.

რასაკვირველია, ჩვენს სოფელში ბევ-რი ლისტი ადებულნი ვაჭარნი ხალხისა-საგან გლეხ-კაცობაზედ, სამსახში და ოთხ-ოთხა თუმნისა: ზოგი ნისიებისა, ზოგი გიროებისა და ზოგიც შარო-ბისა, რომლის გარჩევაზედ გლეხი არ დაესწრო და სამსაჯულომ დაუსწრე-ბელიე დააკირა. საქმე იმაშია, რომ ამ მცირე ლისტების აღსრულებაც სამსაჯულოს პრისტივის რომ მიანდოს ხოლომე გლეხი სრულებით გატ-ყავდებოდა, რადგან პრისტივები საგარე-ჯომდინ პრაკონის ფულებს ანგარი-შობენ ჩვიდმეტ მანეთს. აი, ამ მო-სახრებით, რომ საწყალი გლეხი დაი-ფარონ მომარტბულის ხარჯებისაგან მომრიგებელი მოსამართლე ანდობს მცირე ლისტების აღსრულებას ან მა-მასახლისს და ან პოლიციის პრისტივის, მაგრამ ეს ახალი პრისტივი არამც თუ ხალხს არიგებს და ამშიდებს, არამედ ეს უტეხავს დეიდარაბას მთხოვე-ლების მაგივრად და ყოველ სამ თუმ-ნიან ლისტის აღსრულებასზედ იღებს პირველადე ჩვიდმეტ მანეთს თავის-თვის. ივანე შურდოვანიძეზედ ე. ი. ჩემ ძმაზედ აღექვი ჩიქოვანს ჰქონდა ოც-და-თვრამეტი მანეთის ლისტი. ჩი-ქოვანს ლისტი ამ პრისტივისთვის გარ-დაეცა აღსარულებლად. ივანე შურ-დოვანიძე შინ არ იმყოფებოდა, მეც შინ არ განლდით 17 თებერვალს ამა წელსა. მს პრისტივი მომძანებულნი-ყო საგარეჯოში, გაეგზვნა ჩაფრები ჩემ სახლში და გამოერეკნათ უღელი ხარი და ერთი ცხენი ბაზარში გასა-სყიდად, მხოლოდ სახლში ჩემი უმ-ცროსი ძმა დახვედროდა, რომელსაც შემინებოდა, საქონელს უკან გამოჰ-ყოლოდა. საქონელი აწვირნათ ოც-და-თვრამეტ მანეთში და შესდგომო-დენ, ტორგს. აქ არ იყო ჩიქოვანი, რომ ეჩვენა პრისტივისთვის ის საქო-ნელი ივანე შურდოვანიძისა იყო თუ არა! ზანა ნება აქვს პრისტივის რომ თავის თავად, თუ ლისტის პატრონი არ აჩვენებს მოვალის ქონებას ასწე-როს საქონელი? მაგრამ თავისი საკუ-თარი კანონი ეხმარა აქა. საქონლის აღწერის შემდეგ, სამი დღილგან შვიდ დღემდინ ვადა ეძლევა მოვალეს ფუ-ლის შოვნისა. თუმცა ჩემმა ძმამ და სხვებმა ბევრი სთხოვეს ედროებინა სამ-ოთხ დღემდინ, მაგრამ ერთი წუ-თიც არ აღროვა, და შეუდგა ტორ-გით გასყიდვას; რასაკვირველია ბაზრის ვაჭრები კბილებ დაკრეჭილები მოვლო-დენ ტორგს, მაგრამ ღმერთმა უშველოს ზაქარია მელივიძეს, ჩემი უმცროსი ძმი-სთვის იმას ესესხებინა ხუთი თუმანი და რვა მანეთი, რომელიც პრისტივის გამოერთმია და ჩემ ძმისათვის მიეცა კვიტანცია ამ გვარი: „По исполни-тельному листу Мирового Судьи Тифлисскаго Уѣзда отъ 20 января 1882 г. № 530, за долгъ Ивана Курдованидзе А. Чиковани пять-десять восемь рублей (58 р.) уплатилъ братъ перваго Захарій Курдованидзе.—Сартчалъскій приставъ Лезингевичъ.“—ჩიქოვანის ლისტი სა-მი თუმნისა და რვა მანეთისა იყო და ეს ხუთი თუმანი და რვა მანეთი რა-

ში გამოართვა ბ. პრისტავმა? როდესაც მოველ სახლში და მიამბეს ეს შემთხვევა, მეორე დღესვე ჩველი პრისტავთან; უნდა შემეტყო დაწვრილებითი ამბავი. მიველ, ვკითხე, თუ უჩემოდ ჩემი საკუთარი საქონელი რად გამოარევა გასასყიდად. მან ამის პასუხად, აი, რა მითხრა:—ის საქონელი შენია?—ღიალ, ჩემია, ეუბასუხე მე. ლაუძახა თავის ჩაფარს და უთხრა: წადი მიხვილ რევაზოვს დამიძ ხეო. რევაზოვი მოვიდა და უთხრა პრისტავს:—წადი, შენ რომ ამბავდ ლისტი გაქვს, ამომიტანე, ცხლავე ავისრულებო. ისიც მაშინვე გაიქცა და ერთი ძველი ლისტი მოიტანა, რომელიც წინად სამსაჯულოს პრისტავს ჰქონდა მინდობილი მომრიგებელი მოსამართლისაგან და რომელშიაც კიდევ გავეუსწორდი და ჩავაბარე წინააღმდეგ ყოველისფერი და უჩუტოკა“ კი მაპატიო მაშინვე, ახლა რო დაინახა ამ პრისტავის მოქმედება ასე წრეს გადადის და მსწრაფლად ასრულებსო, წარუდგინა აღსასრულებლად და ბ. პრისტავიც შეუდგა საქმეს. მაგრამ შემდეგ დაფიქრდა რევაზოვი, რომ ტყუილად ძარბმედა, ლისტი უკანვე გამოართვა და უთხრა: არ მინდა მაგის ასრულებაო, მე თითონ მოვეურიგდებიო.

რას უნდა მოველოდეთ ამისთანა პირებისაგან, რას დავგინდობენ, რა იცის მთავრობამ ამათი მოქმედება. აი, ამიტომ საქვეყნოდ ავწერე მისი ყოველივე ბოროტ-მოქმედება. უნდა მეჩივლა სასამართლოში, მაგრამ მე ისევ გაზეთში გამოაშკარება ვამჯობინე, ამას ყველანი მიაქცევენ ყურადღებას და დაგვიხსნიან ამ გვარი კაცების ხელისაგან

ახსნაური ალექსი ქურდოვანიძე.

განცხადებანი

ქართული დრამატული საზოგადოების მართველობა ამით აცხადებს რომ, შედგენა დრამატული დასისა და გამკება ტფილისში ქართულის თეატრის საქმისა მიიღო თვითონ მართველობამ, და ამისათვის მოიწვევს მათ, ვისაც ქსუნს შემოსვლა ქართულს თეატრის დასში, თავისის ზიარობებით მიქმართან ტფილისს, ან მმართველობის მიერ მინდობილ ზიარს, თავილია გრიგოლის-ძის ჰავაზავაძის, ან მართველობის სეკრეტარს კოსტანტინე დიმიტრის-ძის უფინანს.

საზოგადოების მართველობის თავსმჯდომარე თ. დაგ. ავადიშვილი.

მართველობის სეკრეტარი. გ. ყაფიანი.

გლავინის პრესპეტედ, ანტონოვის სახლებში „ლივადიის“ სასტუმროში, გაძლევე მუბილით, სამაგრიოთ და მოსამსახურით ოთხსაგან, თვეობით 15 მანეთიდან 60-დის, დღეობით—ოთხი ახადამ—სამ მანეთამდის.

მიხაილ ხარაბავა. 10—7)

ლიტოგრაფიული სურათი თავარ-მეფისა

ისყიდება უტვენკოს ლიტოგრაფიაში, ბალაენის პროსპექტზე, ტრიგულოვის სახლებში. ფასი თითო ეგზ. 50 კაპ., ვინც ასს ეგზ. იყიდის—30 კაპ. (3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში: თამარ დედოფალი შედგენილი გ. ბ—შვილისაგან გამომცემს შაქ. ჭიჭინაძისაგან ფასი ერთი ახადამა.

ინგლისის მადანიაში თმის აპოპოზი-ნი პაპასტარი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუქისა 2 მან., გავზავნი 2 მანეთი და 28 კაპ. (100—58)

აქვე ისყიდება ქინის ზომიდან თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტეები თავის ტვიფილის მოსასპობლად, ტუფაგეტის სპონი, დუხები და სხვ.

ახალი წიგნის პალაზია

არწრუნის გალერეა № 149, 150 ბ. ჯუანადარის ბიბლიოთეკისთან ისყიდება ყოველ-გვარი რუსული და ქართული წიგნები, სახელმძღვანო და ლიტერატურული. სყიდვა და გაყიდვა კველი წიგნებისა. მიიღება კომისიით ყოველ-გვარი წიგნები. აქვე ისყიდება კანცელარების მატერიალი, და მოსწავლეთათვის საჭირო ნივთები. (100—22)

საქმე-ბალანტიური სახელოსნო

ილ. ჭყონისი, ქუთაისს, თ. ლ. მაჭუტაძის სახლში, მოწოდებელი უახლესის სისტემის მაშინებით ჰგისრულებს შესაკვეთთა აღსრულებას 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვები. ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა შეკვეთილნი თუ 25 მანეთისას აღქმება, სასკელოსნო ასრულებსათანავე დაუფრულებელი გუგუზავის მათ თავის-ხრჯით.

ბიბლიოთეკა

თ. ა. ლორთქიფანიძისა, ილ. ჭყონისაგან იჯარით აღებული. ხელ-მოსაწერი ზიარებები. ფრად ხელ-მისაგებია. ბიბლიოთეკას შეემატა ახალი წიგნები. (20—19)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

სახელმძღვანელო რუსული ენისა ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამომცემს, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნებით (съ ударениями) და ისყიდება გამომცემლის ზაქარია ბრიჭუროვის წიგნის მაღაზიაში გუგის ხიდის ურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათა. ვისაც უდინა წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური. გრიჭუროვის მაღაზიაშივე ისყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქებიდან და ადგილებიდან ყოველ გვარს დაბარებულებსა მაღაზია ასრულებს დაუგვიანებელივ.

ბუნების ძარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამომცემს და ისყიდება გრიჭუროვის წიგნის მაღაზიაში, გუგის ხიდის ურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო ზიარებს, რომელნიც იყიდინა ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლარსა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლარი თითხმეტ შაურად; ვინც ორმოც-და-ათს ეგზემპლარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცემეტ შაურად. უდინათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

ძარბა სამართველოსნი, მეორე შეცვებული გამომცემს; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი ახადამ; ვინც ათს ეგზემპლარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლარის მიეძვეს—ათს შაურად.

ინგლისის
პალაზია
Maison de confiance
გადაღებული წიგნი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაი—1 მ. 40 მ.
— — —1—20 — —1—60
— — —1—40 — —1—80
— — —1—60 — —2—
— — —1—80 — —2—50
საუკეთესო—2—
იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, კურკელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალაღი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგენზია, უნაგირები, კლიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25 დამ 5 ს პროცენტით უფრო იაფად-ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში. მინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-დამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასავზავნს არაფერს არ იხდის. (100—54)

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.
სალამური
№ 1.
გამომცემის შ. ჭიჭინაძისაგან.
ფასი 25 კაპ.
საამადგომო
ქეიმის ჰავლოვსკისა
გუგია, მოსტოვას და ელისავეტის ქე. კუთხეში, ადრინდელი სახლები სდინკოსი, განხრცავის მეგლის მასლობ. იუ-დამ დღე იღებს ავად-მყოფებს: დილით 9—10 საათ.: მ. გ. ლუნგვიანი თავლის, ვენერიულ და სირურგიულ ავად-მე., 10—11 1/2-დის ქალი-ქეიმი ა. გ. სამოილოვინისა ქალის და ყმაწვილის ავად-მე., 11 1/2—12 1/2 საათამდის ა. ა. ჰავლოვსკი, ნერვულ და შინაგან ავად-მე.; სადამას: 4—5 საათამდის ე. ს. ბაბოვი შინაგან ავად-მე., 5—6-დის ა. ა. ჰავლოვსკი ელექტროტერაპიით. ფასი რჩევასათვის 50 კ. დარბით მუქთად ემლეკათ რჩევანი. ავად-მყოფის სურვილით შესდგება გონსულტაცია. საავად-მყოფოში არის ექვინო.
დირექტორი, ქეიმი ა. ჰავლოვსკი. (20—11)

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.
საქმე-ბალანტიური
სახელოსნო
ფასი 25 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.
საქმე-ბალანტიური
სახელოსნო
ფასი 25 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.
საქმე-ბალანტიური
სახელოსნო
ფასი 25 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.
საქმე-ბალანტიური
სახელოსნო
ფასი 25 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.
საქმე-ბალანტიური
სახელოსნო
ფასი 25 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.
საქმე-ბალანტიური
სახელოსნო
ფასი 25 კაპ.